


# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

  
\_\_\_\_\_ კახაბერ კირტავა  
„24“ „10“, 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 21/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

### აუდიტის ანგარიში

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                                  | 3  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                                         | 3  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა .....                                              | 3  |
| პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....            | 4  |
| პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                      | 5  |
| <br>                                                                         |    |
| დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....             | 6  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                                         | 6  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა .....                                              | 6  |
| პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ..... | 6  |
| პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ .....             | 9  |
| <br>                                                                         |    |
| მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა .....                                         | 9  |
| • სახელმწიფო შესყიდვები.....                                                 | 9  |
| • პროგრამული ბიუჯეტი .....                                                   | 9  |
| • ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა .....                             | 10 |
| <br>                                                                         |    |
| ანგარიშგების ფორმები.....                                                    | 14 |

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

### ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა დეპარტამენტის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ა(ა)იპ „ტურისტული სააგენტოს“ 2013 წლის ბალანსების, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტულ სააგენტოს“ სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა არ არის აღრიცხული სააგენტოს ბალანსზე. ამასთან არასწორადაა განსაზღვრული სააგენტოს 2013 წლის ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, სააგენტოს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 103,8 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. თუმცა 2013 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციით დასაბეგრ ქონებაში გათვალისწინებულია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილი, რომელიც აღნიშნული დეკლარაციის შესაბამისად შეფასებულია 16,7 ათას ლარად. ამასთან სააგენტო სარგებლობს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ნაწილით, რომელიც სააგენტოს ბალანსზე არ არის აღრიცხული და შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მიუხედავად არ არის ჩართული ქონების გადასახადით დასაბეგრ ძირითად საშუალებებში.

ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>1</sup>, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები.

## **2. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა არასწორად განსაზღვრის გამო, ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტულ სააგენტოს“ 2013 წლის მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავლი არასწორადაა განსაზღვრული**

სააგენტოს 2012 წლის მოგების გადასახადის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 17,1 ათასი ლარითაა განსაზღვრული, თუმცა 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციით, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, საბიუჯეტო ასიგნებით შეძენილი ფასეულობების ხარჯზე, გაზრდილია 127,0 ათას ლარამდე.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მოთხოვნათა<sup>2</sup> გათვალისწინებით, დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრისას საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება აკლდება, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება ემატება ერთობლივ შემოსავალს და ამასთან, მოგების გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში გათვალისწინებული უნდა იქნეს ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, 2013 წლის დასაწყისისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების არასწორად დაფიქსირების გამო, ადგილი აქვს დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) არასწორად განსაზღვრის ფაქტს.

## **პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

<sup>2</sup> „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 145-ე მუხლის მე-2 პუნქტი

მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

## დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა დაპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი მასალებით, რიგ შემთხვევებში ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის მდგომარეობა, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

„შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების - „ტურისტული კვირეულისა“ და „ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზების“ ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია



ლონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობა. კერძოდ, მიმწოდებელ ფირმებზე გაფორმებული ხელშეკრულებების, ფასების ცხრილით გაწერილია აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გასაწევი მომსახურებისა და მოწვეული ჯგუფებისა და წამყვანების ჰონორარების რაოდენობა. კერძოდ:

| N | მიმწოდებელი                        | ხელშეკრულება<br>ნომერი და<br>თარიღი | ღირებულება | ხელშეკრულებით<br>გათვალისწინებული<br>გასაცემი ჰონორარის<br>რაოდენობა | შენიშვნა |
|---|------------------------------------|-------------------------------------|------------|----------------------------------------------------------------------|----------|
| 1 | შპს „ტურიზმის კომპეტენს ცენტრი“    | N144. 29.08.2013                    | 30000      | 30000                                                                |          |
| 2 | შპს „Georgia Wildlife Consultancy“ | N130. 16.07.2013                    | 15320      | 3000                                                                 |          |
| 3 | შპს „ჯეოვაპი“                      | N243. 23.12.2013                    | 33317      | 24015                                                                |          |
| 4 | შპს „გ.მ.გ“                        | N242. 23.12.2013                    | 85671      | 63475                                                                |          |
|   | ჯამი                               |                                     |            | 120470                                                               |          |

ხელშეკრულებებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების შესახებ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში ფიქსირდება ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესრულების მდგომარეობა, თუმცა არ არის წარმოდგენილი მომსახურების მიმწოდებელი ფირმების მიერ, მოწვეულ ჯგუფებსა და წამყვანებზე ჰონორარების გაცემის მდგომარეობა, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

**2. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, ადგილი აქვს საბიუჯეტო რესურსის - 284,0 ათასი ლარის არაეკონომიურად განკარგვის ფაქტებს, რაც შეზღუდულ ვადებში შესყიდვების განხორციელების აუცილებლობის დაუსაბუთებლობაში გამოიხატება.**

„შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებებიდან, კონფერენციების - „სამხრეთ კავკასიის ტრანსსასაზღვრო ტურიზმის“ (ღირებულება 14,0 ათასი ლარი), „საკრუიზო ტურიზმი-მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“ (ღირებულება 15,0 ათასი ლარი), ფესტივალის - „Batumi Calling“ (ღირებულება 30,0 ათასი ლარი), სარეკლამო კომპანიის (ღირებულება 106,0 ათასი ლარი) და ღონისძიება „ტურიზმის კვირეულის“ (ღირებულება 119,0 ათასი ლარი) ორგანიზების შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით. შესყიდვებს საფუძვლად დაედო დეპარტამენტის წარდგინების შესაბამისად მოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებები<sup>3</sup>, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად

<sup>3</sup> აჭარის ა.რ. მთავრობის განკარგულებები N160, 26.08.2013 და N235. 17.12.2013

ჩატარების მიზნით, დეპარტამენტს უფლება მიეცა ზემოთ აღნიშნული შესყიდვები, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებინა.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2013 წლის მიზნობრივი პროგრამა „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები, დამტკიცებულია 2013 წლის 5 თებერვალს<sup>4</sup> და შესაბამისად თავიდანვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ღონისძიებების ჩატარების ვადებიცა და პირობებიც. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ეს ღონისძიებები 2013 წლის აგვისტოში, დეკემბერსა და 2014 წლის იანვრის თვეში განხორციელდა. ანუ დეპარტამენტს, საქმიანობის სწორად დაგეგმვის პირობებში, შეეძლო განესაზღვრა შესყიდვების და შესაბამისად ღონისძიებების ჩატარების პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდულ ვადებში შესყიდვების ჩატარების აუცილებლობა არ იკვეთება და შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ადგილი აქვს საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურად განკარგვის ფაქტებს.

### 3. ადგილი აქვს 258,9 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის არაპროდუქტიულად განკარგვის ფაქტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2013 წელს წინასწარი ანგარიშწორების ფორმით, მიმწოდებელზე ავანსად გადარიცხულია 396.3 ათასი ლარი. მათ შორის 2013 წლის დეკემბრის თვეში გამოცხადებულ ტენდერებში და მათი შედეგების შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ანგარიშსწორების ფორმად გამოყენებულია „მხოლოდ წინასწარი გადახდის მექანიზმი“ და წარმოდგენილი საბანკო გარანტიების საფუძველზე მიმწოდებლებზე, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, ავანსის სახით გადახდილია 340,2 ათასი ლარი.

| N | ხელშეკრულების<br>ნომერი და თარიღი | სახელშეკრულებო<br>თანხა | მიმწოდებელი                 | ხელშეკრულების საგანი                                              | ავანსად<br>გადარიცხ<br>ული თანხა |
|---|-----------------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------------------------|----------------------------------|
| 1 | 239. 18.12.2013                   | 104999                  | შპს „ნიუ მედია აჭარა“       | სარეკლამო კომპანიის წარმოება<br>ადგილობრივ ტელე-რადიო<br>სივრცეში | 104999                           |
| 2 | 242. 23.12.2013                   | 85671                   | შპს „გ.მ.გ.“                | ღონისძიების ორგანიზება                                            | 85671                            |
| 3 | 246. 30.12.2013                   | 149500                  | შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“ | ტურიზმის საინფორმაციო<br>ცენტრების მშენებლობა                     | 149500                           |
|   | ჯამი                              | 340170                  |                             |                                                                   | 340170                           |

<sup>4</sup> აჭარის ა.რ. მთავრობის განკარგულება N34, 5,02,2013



შემსყიდველის მხრიდან ანგარიშსწორების ასეთი პირობების განსაზღვრამ, ბიუჯეტის ხარჯების გეგმის შესრულების მაჩვენებლის ხელოვნურად გაზრდა და საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის თვალსაზრისით<sup>5</sup>, საბიუჯეტო რესურსის არაპროდუქტიული განკარგვა განაპირობა.

### პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტოს“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

### მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

#### • სახელმწიფო შესყიდვები

დეპარტამენტის მიერ ტურისტული მარშრუტების ნიშნულების/დაფების დამზადება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში<sup>6</sup> განხორციელებული ცვლილებით, ხელშეკრულებაში დამატებით გათვალისწინებული იქნა ანგარიშსწორების საავანსო ფორმა. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საბანკო გარანტიის საფუძველზე, შემსრულებელს შპს „მარკას“ ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო თანხის დარჩენილი ნაწილი 4,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილება საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით არ იყო არგუმენტირებული და შესაბამისად ავანსად საბიუჯეტო სახსრების გაცემის აუცილებლობა არ დასტურდება. ამასთან, აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებმაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ იცოდნენ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ.

#### • პროგრამული ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2013 წლის პროგრამის - „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში გათვალისწინებული იყო ორი ქვეპროგრამა, „შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ - 1167,0 ათასი ლარის ბიუჯეტით და

<sup>5</sup> რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე არსებულ ნაშთს, ყოველდღიურად ერიცხება პროცენტი, რაც ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

<sup>6</sup> N221. 4.12.2013. SPA 130025417.

„მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე“ - 1500,0 ათასი ლარის ბიუჯეტით. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების (3 ცვლილება) შედეგად, რომელთაგან უკანასკნელი 2013 წლის 11 დეკემბერს განხორციელდა ქვეპროგრამების ბიუჯეტები შემცირდა და შესაბამისად, 1024,0 ათასი ლარით და 890,0 ათასი ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტების შემცირებას საფუძვლად დაედო არამართო შესყიდვების განხორციელებისას მიღებული ეკონომია, არამედ ადგილი ჰქონდა ქვეპროგრამების რიგი ელემენტების გაუქმებასაც. ამასთან, პროგრამაში არ არის წარმოდგენილი განხორციელებული ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალი და მათი აღწერა<sup>7</sup> და პროგრამების შესრულების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშებში არ არის ინფორმაცია, შეფასების ინდიკატორების შესაბამისად პროგრამების შედეგების შესახებ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, დეპარტამენტის მხრიდან პროგრამული ბიუჯეტის შედგენა-შესრულების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

#### • ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 2783,7 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 2583,6 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 92,8 პროცენტია. დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ა(ა)იპ „ტურისტული სააგენტო“ საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:


| დასახელება                                          | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | გადახრა      | შესრულების % |
|-----------------------------------------------------|-------------------|------------------|--------------|--------------|
| ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაცია | 649,7             | 599,3            | 50,4         | 92,2         |
| ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტო“                 | 220,0             | 216,5            | 3,5          | 98,4         |
| შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა               | 1024,0            | 897,1            | 126,9        | 87,6         |
| მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე      | 890,0             | 870,7            | 19,3         | 97,8         |
| <b>ჯამი</b>                                         | <b>2783,7</b>     | <b>2583,6</b>    | <b>200,1</b> | <b>92,8</b>  |

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

<sup>7</sup> შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ დანართი N3-ის 2.5.2. პუნქტის მოთხოვნები.

| საბიუჯეტო<br>კლასიფიკაციის<br>მუხლების დასახელება | 2013 წლის ბიუჯეტი |         | 2013 წლის ხარჯები |            | გადახრა<br>ფაქტ.ხარჯსა და<br>გადახდას შორის |           | გადახრა<br>გეგმა-<br>საკასო | შესრ.<br>% |
|---------------------------------------------------|-------------------|---------|-------------------|------------|---------------------------------------------|-----------|-----------------------------|------------|
|                                                   | დამტკ.            | დაზუსტ. | საკასო            | ფაქტობრივი | მეტობა                                      | ნაკლებობა |                             |            |
| სულ ხარჯები                                       |                   |         |                   |            |                                             |           |                             |            |
| 1. ხარჯები                                        | 2328,7            | 2320,9  | 2182,4            | 1948,7     |                                             | 233,7     | 138,5                       | 94%        |
| მათ შორის                                         |                   |         |                   |            |                                             |           |                             |            |
| 1.1 შრომის<br>ანაზღაურება                         | 427,9             | 425,7   | 425,7             | 425,7      |                                             |           | 0                           | 100%       |
| 1.2 საქონელი და<br>მომსახურება                    | 201,5             | 191,0   | 152,9             | 158,4      | 5,5                                         |           | 38,1                        | 80,1<br>%  |
| 1.3 ძირითადი<br>კაპიტალის მოხმარება               |                   |         |                   | 44,9       | 44,9                                        |           |                             |            |
| 1.7 სოციალური<br>უზრუნველყოფა                     |                   | 2,2     | 2,2               | 2,2        |                                             |           | 0                           | 100%       |
| 1.8 სხვა ხარჯები                                  | 1699,3            | 1702,0  | 1601,6            | 1317,5     |                                             | 284,1     | 100,4                       | 94,1       |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                       |                   |         |                   |            |                                             |           |                             |            |
| 2. სულ არაფინანსური<br>აქტივების ზრდა             | 235,0             | 240,8   | 182,7             |            |                                             |           | 58,1                        | 75,9       |
| სულ                                               | 2563,7            | 2561,7  | 2365,1            | 1948,7     |                                             |           | 285,0                       | 92,3       |

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 და 2013 წლების  
 საკასო ხარჯების შედარების დინამიკა:



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ დეპარტამენტის 2013 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებებით არ ხასიათდება, კერძოდ:


- გაზრდილია: პრემია - 26,9 ათასი ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 5,1 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 2,2 ათასი ლარით, ამასთან

შემცირებულია თანამდებობრივი სარგო - 6,0 ათასი ლარით, მივლინება - 8,8 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი - 2,1 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი - 2,4 ათასი ლარით, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი - 3,6 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 192,1 ათასი ლარით.

➤ 2012 წელთან შედარებით დეპარტამენტის აპარატში გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი 20,9 ათასი ლარით. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯებიდან 176,4 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 41,4% შეადგენს. წლიური მონაცემების შეჯამებით, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად - 100%-ის ოდენობით.

➤ დეპარტამენტის 2013 წელს არაფინანსური აქტივების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 182,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 114,8 ათასი ლარით მეტია 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე და წლიური დაზუსტებული გეგმის 75,9 პროცენტია.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2012 წლის საკასო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 28 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 22 შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა 5 და უარყოფითი შედეგით დასრულდა 1 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 262 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 22 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით და 235 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვით.

#### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/



24.10.2014წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორი/



24.10.2014წ

## ანგარიშების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა # 1

### ორგანიზაციის ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ჩაბარების და

ჩაბარა

*გ. გიგინეიძე*

( ხელმოწერა )

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული:

*გ. შიშ*

2013 წლის IV კვარტალი

*გ. გიგინეიძე: გ. გიგინეიძე  
24.02.2014წ.*



| კოდი                                       | აქტივები                                                                      | ანგ.<br># | წამთი წლის<br>დასაწყისისთვის | წამთი წლის<br>( ვვარტლის )<br>ბოლოს |
|--------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------|-----------|------------------------------|-------------------------------------|
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                               |           |                              |                                     |
| 010                                        | წადდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში                                          | 1110      |                              | 0                                   |
| 020                                        | წადდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში                                           | 1120      |                              | 0                                   |
| 030                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში                                    | 1210      |                              | 0                                   |
| 040                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში                                     | 1220      |                              | 0                                   |
| 050                                        | სადეპოზიტო ანგარიში ბანკში                                                    | 1230      |                              | 0                                   |
| 060                                        | სხვა ანგარიშები ბანკში                                                        | 1240      |                              | 0                                   |
| 070                                        | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის                | 1250      |                              | 0                                   |
| 080                                        | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში                                          | 1260      |                              | 0                                   |
| 090                                        | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში                                           | 1270      |                              | 0                                   |
| 100                                        | ხაზინის სავალუტო ანგარიში                                                     | 1280      |                              | 0                                   |
| 110                                        | სხვა ანგარიშები ხაზინაში                                                      | 1290      |                              | 0                                   |
| 120                                        | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა                                            | 1310      |                              | 0                                   |
| 130                                        | მოკლევადიანი სესხები                                                          | 1320      |                              | 0                                   |
| 140                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                      | 1330      |                              | 0                                   |
| 150                                        | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                            | 1340      |                              | 0                                   |
| 160                                        | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                       | 1351      |                              | 0                                   |
| 170                                        | ოსაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                      | 1352      |                              | 0                                   |
| 180                                        | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები                  | 1353      |                              | 0                                   |
| 190                                        | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ  | 1354      |                              | 0                                   |
| 200                                        | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების მომსახურების მიწოდ | 1355      |                              | 0                                   |
| 210                                        | გადახდილი დღგ                                                                 | 1356      |                              | 0                                   |
| 220                                        | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი                                         | 1357      |                              | 0                                   |
| 230                                        | სხვა საგადასახადო აქტივი                                                      | 1358      |                              | 0                                   |
| 240                                        | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით               | 1359      |                              | 0                                   |
| 250                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                | 1360      |                              | 0                                   |
| 260                                        | მოთხოვნები ბარტებით                                                           | 1410      |                              | 0                                   |
| 270                                        | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ                                      | 1420      |                              | 0                                   |
| 280                                        | მოთხოვნები წინასწარ გადახდებით                                                | 1430      | 10,321                       | 346,557                             |
| 290                                        | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით                                | 1440      | 2,400                        | 2,400                               |
| 300                                        | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები                                    | 1450      |                              | 0                                   |
| 310                                        | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები                                                | 1460      |                              | 0                                   |
| 320                                        | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით                                  | 1470      |                              | 0                                   |
| 330                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები                                        | 1480      |                              | 0                                   |
| 340                                        | გრძელვადიანი სესხები                                                          | 1510      |                              | 0                                   |
| 350                                        | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                                          | 1520      |                              | 0                                   |
| 360                                        | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები                                                  | 1530      |                              | 0                                   |
| <b>II. არაფინანსური აქტივები</b>           |                                                                               |           |                              |                                     |
| 370                                        | სტრუქტურული მარაგები                                                          | 1610      |                              | 0                                   |
| 380                                        | სხვა მატერიალური მარაგები                                                     | 1620      | 46,120                       | 122,870                             |
| 390                                        | მენობა-ნაგებობები                                                             | 2110      | 495,929                      | 494,501                             |
| 400                                        | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                              | 2120      | 152,926                      | 159,166                             |
| 410                                        | სხვა ძირითადი აქტივები                                                        | 2130      | 3,178                        | 2,534                               |
| 420                                        | დაუმთავრებელი მშენებლობა                                                      | 2140      |                              | 0                                   |
| 430                                        | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                            | 2200      | 228                          | 3,728                               |
| 440                                        | ფასეულობები                                                                   | 2300      |                              | 0                                   |
| 450                                        | არაწარმოებული აქტივები                                                        | 2400      | 332,661                      | 366,935                             |
|                                            | <b>ბალანსი</b>                                                                |           | <b>1,043,762</b>             | <b>1,498,689</b>                    |

10.02.14 18.06.03

ვერდი 2/ 3-დან

| კოდი                          | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                   | ანგარიშის<br>ნომერი | წამთი წლის<br>დასაწყისისათვის | წამთი წლის (კვარტალის)<br>ბოლოს |
|-------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|-------------------------------|---------------------------------|
| <b>I. ვალდებულებები</b>       |                                                                                             |                     |                               |                                 |
| 460                           | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                        | 3100                |                               |                                 |
| 470                           | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                              | 3210                | 2018                          | 2237                            |
| 480                           | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                                 | 3220                |                               | 954                             |
| 490                           | ვალდებულებები ბარტერით                                                                      | 3230                |                               |                                 |
| 500                           | გადასახდელი მოგების გადასახადი                                                              | 3241                |                               |                                 |
| 510                           | გადასახდელი დღგ                                                                             | 3242                |                               |                                 |
| 520                           | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი                                                          | 3243                |                               |                                 |
| 530                           | სხვა გადასახდელები                                                                          | 3244                |                               |                                 |
| 540                           | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო<br>შესრულებით                             | 3245                |                               |                                 |
| 550                           | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები                                                     | 3246                |                               |                                 |
| 560                           | მტკიცებით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                                | 3251                |                               |                                 |
| 570                           | მტკიცებულებით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                            | 3252                |                               |                                 |
| 580                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                                     | 3253                |                               |                                 |
| 590                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                                      | 3254                |                               |                                 |
| 600                           | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური<br>დახმარებით დარიცხული ვალდებულებები    | 3255                |                               |                                 |
| 610                           | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური<br>დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256                |                               |                                 |
| 620                           | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან<br>დაკავებული თანხებით                 | 3257                |                               |                                 |
| 630                           | გადასახდელი სტიპენდიები                                                                     | 3258                |                               |                                 |
| 640                           | სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები                                                           | 3259                |                               |                                 |
| 650                           | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ                                                           | 3260                |                               |                                 |
| 660                           | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები                                                | 3270                |                               |                                 |
| 670                           | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                                                 | 3280                |                               |                                 |
| 680                           | გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული<br>დავალიანებები                        | 3300                |                               |                                 |
| <b>II. კაპიტალი</b>           |                                                                                             |                     |                               |                                 |
| 690                           | წმინდა ღირებულება                                                                           | 5100                | 1041744                       | 1495498                         |
| 700                           | საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი                                                           | 5210                |                               |                                 |
| 710                           | გაუნაწილებელი მოგება                                                                        | 5220                |                               |                                 |
| 720                           | დაუფარავი ზარალი                                                                            | 5230                |                               |                                 |
